



საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი 12 „13“ დეკემბერი 2019 წელი

განხორციელებული ცვლილებები
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № 2"22" თებერვალი 2021 წელი



საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი

თავი 1. საბაკალავრო ნაშრომის მომზადება

1. საბაკალავრო ნაშრომი

- 1.1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესრულებულ მცირე მოცულობის კვლევას, რომელშიც უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
- 1.2. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს, ისარ არის ჯგუფური პროექტი.
- 1.3. საბაკალავრო ნაშრომის რეზიუმე საბაკალავრო აქტის წავლის ბოლოს ემესტრში, რომელიც სტუდენტმა უნდა დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ღია სხდომაზე.
- 1.4. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არანაკლებ 25 გვერდისა და არაუმეტეს 40 გვერდისა, ხოლო მისთვის მინიჭებულ კრედიტების რაოდენობას ფაკულტეტები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და კრედიტების გაანგარიშების წესის თანახმად.

2. საბაკალავრო ნაშრომის თემა

- 2.1. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებაზე დაშვების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 195 კრედიტის დაგროვება, რაც აუცილებლად უნდა მოცავდეს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანს.
- 2.2. სტუდენტი, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ თემატიკის ფარგლებში, ირჩევს საბაკალავრო ნაშრომის თემას და თემის ხელმძღვანელს.
- 2.3. საბაკალავრო თემა და თემის ხელმძღვანელი მტკიცდება რექტორის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
- 2.4. ნაშრომის თემის შეცვლა ან სათაურში ცვლილებების შეტანა და საშვების აკვლევით თემის დამტკიცებ იდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში დამტკიცდება ამ მუხლის 2.3. ქვეპუნქტის შესაბამისად.
- 2.5. რექტორის მიერ საბაკალავრო ნაშრომის თემის დამტკიცების შემდეგ სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად იწყებს ნაშრომზე მუშაობას.

3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

- 3.1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გთუნი-სპროფესორი, ასოცირებული პროფესორი, შესაძლებელია, ნაშრომის ხელმძღვანელად დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პედაგოგი.
- 3.2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაკულტეტის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებით და ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი კვალიფიკაციით.
- 3.3. ხელმძღვანელი დახმარებას უწევს სტუდენტს ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკის შედგენაში, ნაშრომის სტრუქტურის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის მოძიება-

დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებს და აძლევს სტუდენტს სათანადო რეკომენდაციებს.

3.4. ხელმძღვანელი ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას ამ დოკუმენტის მე-5 მუხლის 1-ი პუნქტით განსაზღვრული წესით.

4. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

4.1. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის კომპონენტებია:

- სატიტულო გვერდი (თავფურცელი);
- შინაარსი (სარჩევი);
- ანოტაცია;
- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია);
- ცხრილები, დანართ(ებ)ი, ლექსიკონი (მათი არსებობის შემთხვევაში);
- პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებელი დანართი (არსებობის შემთხვევაში).

4.2. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმებამდე სტუდენტი დეტალურად უნდა გაეცნოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს: „აკადემიური ნაშრომის სტანდარტი“ და „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“.

5. სატიტულო გვერდი (თავფურცელი):

5.1. საბაკალავრო ნაშრომი როგორც ნებისმიერი ტიპის აკადემიური ნაშრომი, იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: უნივერსიტეტის დასახელება, ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (საბაკალავრო ნაშრომი), ფაკულტეტის ან პროგრამის დასახელება, სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, უნივერსიტეტის სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელით ვლება პირველ გვერდად არ იწომრება, მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის (Sylfaen) შემდეგი პარამეტრებით:

- უნივერსიტეტის დასახელება - 14, გამუქებული;
- ფაკულტეტი, პროგრამა - 12, გამუქების გარეშე;
- ნაშრომის სათაური - 14, გამუქებული;
- ავტორის სახელი და გვარი - 12, გამუქებული;
- ნაშრომის ტიპი - 12, გამუქების გარეშე;
- ხელმძღვანელის მონაცემები - 12, გამუქების გარეშე;
- ქალაქი და წელი - 12, გამუქებული.

6. შინაარსი (სარჩევი):

6.1. შინაარსი (სარჩევი) ასახავს საბაკალავრო ნაშრომის ყველა აუცილებელი შემადგენლის (ანოტაცია, შესავალი, ყველა თავი და ქვეთავი, ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა, დანართები) ზუსტ დასახელებას და გვერდების ნომრებს. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. შრიფტის ზომა - 11. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა ველთან.

6.2. თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ყოველი თავი მინიმუმ ორი ერთეულისგან - ქვეთავისაგან უნდა შედგებოდეს. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული და ზუსტად ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს.

7. ანოტაცია:

- 7.1. ანოტაციაში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, ანოტაცია არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა.
- 7.2. ანოტაცია უნდა დაიწეროს ქართულ დაინგლისურენოვანებზე, ამასთან ორივე ენაზე შესრულებული ანოტაციის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს.

8. შესავალი:

8.1. საბაკალავრო ნაშრომის შესავალი ნაწილის ფუნქციაა, წარმოადგენს შეუქმნას მკითხველს თემის შესახებ. შესავალი უნდა შეადგენდეს ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს. შესავალი არ ემსახურება ვრცელ, არგუმენტირებულ მსჯელობას. აქ მნიშვნელოვანია, კონკრეტული საკითხის დასმა და პასუხამდე მიმავალი გზის ჩვენება. შესავალი აიგება შემდეგნაირად:

- 1) საკვლევი პრობლემის/საკითხის წარმოდგენა და აღწერა;
- 2) კვლევის აქტუალობის დასაბუთება;
- 3) კვლევის მიზნისა და საკვლევი კითხვის ჩამოყალიბება.
- 4) შესავალში შესაძლებელია აღიწეროს, თუ როგორ წარიმართება კვლევა და რა მეთოდებით დამუშავდება საკითხი.
- 5) შესავლის ბოლო სამი-ოთხი სტრიქონი ეთმობა ნაშრომის აგებულების მოკლე აღწერას, რომლის ჩამოყალიბება დაახლოებით ამგვარადაა შესაძლებელი: „ნაშრომის პირველი თავი დაეთმობა პრობლემის/საკითხის A ასპექტის კვლევას, მეორე თავში განიხილება B“ და ა.შ.

9. ძირითადი ნაწილი:

9.1. ძირითადი ნაწილი საბაკალავრო ნაშრომის ბირთვია და შესაბამისად, ყველაზე ვრცელი სტრუქტურული ერთეული. მისი მთავარი დანიშნულებაა, შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე.

9.2. საბაკალავრო ნაშრომის ძირითად ნაწილში აღიწერება კვლევის მსვლელობა: რა წყაროები იქნა გაანალიზებული, რისი ინტერპრეტაცია მოხდა, რა მონაცემები იქნა მოპოვებული და როგორ იქნა ისინი შეფასებული. ამ კომპონენტების შესასრულებლად კი აუცილებელია, აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- წყაროების მოძიება;
- არგუმენტირება;
- ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება;
- წყაროების გამოყენება და დამოწმება .

9.3. ძირითადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს: თემის ისტორიული წანამძღვრების აღწერას და მთავარი ცნებების განმარტებას, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასა და მასზე დაყრდნობით საკვლევი პრობლემის ანალიზს, ემპირიული კვლევების შეფასებას, ემპირიული კვლევის განხორციელებას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, და ა.შ.

9.4. ძირითადი ნაწილი იყოფა თავებად და ქვეთავებად.

ნაშრომის ყოველი ახალი თავი დაიწყება ახალი გვერდიდან, ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

10. დასკვნა

10.1. დასკვნის დანიშნულებაა, ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა აღწერის, კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და ა.შ. შედეგად.

- 10.2. დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს.
- 10.3. დასკვნების აღნიშნული პრინციპით ფორმულირებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სიტყვები: გამოვლენილია, აღმოჩენილია, დასაბუთებულია, ნაჩვენებია, მოცემულია, წარმოდგენილია, გახსნილია, შემუშავებულია, შეთავაზებულია, კლასიფიცირებულია, სისტემატიზირებულიაან: შემოგვაქვს, ვასაბუთებთ, ვუჩვენებთ, დამისთ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი უნდა დაიწყოს პირველ (მრავლობით) ანმესამეპირში (დაარაშერეულად).

11. ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

- 11.1. ბიბლიოგრაფია, იგივე გამოყენებული ლიტერატურა, საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით.
- 11.2. ბიბლიოგრაფიის შედგენისა და გაფორმების წესი რეგულირდება დოკუმენტით „აკადემიური ნაშრომის სტანდარტი“, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული წყაროების მითითების წესი (ჩიკაგოს ან APA სტილის შესაბამისად, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ხელმძღვანელთან შეთანხმებით).

12. დანართ(ებ)ი

- 12.1. დანართები კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ.
- 12.2. დანართის გამოყენება იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ 12. 1-ში აღნიშნული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა.

13. წერიტი ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წაყენებული მოთხოვნები

- 1) საბაკალავრო ნაშრომის აკინძულეგზემპლართან ერთადსტუდენტმა უნდა წარადგინოს ელექტრონულივერსიაც CD კომპაქტ-დისკით, ნაშრომის ტექსტური მასალის Word-ის ან PDF ფაილის სახით. წარმოდგენილ CD კომპაქტ-დისკს უნდა ჰქონდეს მუქი ფერის CD მარკერით შესრულებული წარწერა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- ფაკულტეტი, მიმართულება/სპეციალობა;
 - ავტორი;
 - ნაშრომის დასახელება.

თავი 2. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და შეფასება

1. საბაკალავრონაშრომის შეფასების სისტემა

1.1. საბაკალავრონაშრომის შეფასება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთისახის დადებ ით და ორისახის უარყოფით შეფასებას:

ქულა (მაქსიმალური შეფასების%)	შეფასება
91% დამეტი	A- ფრიადი
81-90%	B-მალიანკარგი
71-80%	C-კარგი
61-70%	D-დამაკმაყოფილებელი
51-60%	E-საკმარისი
41-50%	Fx-ვერჩააზარა
40% დანაკლები	F-ჩაიჭრა

1.2. საბაკალავრონაშრომის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს დაწარმოადგენს მათ ჯამს, მათ შორის: შუალედური შეფასება მოიცავს ქულათა საერთო რაოდენობის 60 %-ს, დასკვნითი შეფასება მოიცავს ქულათა საერთო რაოდენობის 40 %-ს.

შეფასება	კომპონენტები	ქულა	შეფასების სასწ. კვირა
შუალედური შეფასება	1) შუალედური შეფასება ხელმძღვანელის მიერ	30	მე-12
	2) ნაშრომის წინასწარი განხილვა კომისიის მიერ	30	მე-14
	3) შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამით	-	მე-15
დასკვნითი შეფასება	4) საბაკალავრო ნაშრომის საჯაროდ დაცვა	40	მე-17/19

2. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება

2.1. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასებები ხორციელდება

- 1) ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ;
- 2) შესაბამისი კომისიის მიერ;
- 3) ანტიპლაგიატის პროგრამის მეშვეობით.

2.2. ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შუალედური შეფასება გულისხმობს შემდეგი მახასიათებლების შეფასებას: რამდენად დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი იყო სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში; რამდენად უზრუნველყოფილია ნაშრომის მიზნისა და სტრუქტურის შესაბამისობა; რამდენად მართებულად გაიაზრა სტუდენტმა საკვლევი თემის საკითხი, პრობლემა; როგორ შესძლო პირველადი და სამაგიდე მონაცემების გაანალიზება დარგორ გამოამყვანა წყაროებთან მუშაობისუნარები; რამდენად ადეკვატურად გამოიყენა კვლევის მეთოდები; რამდენად შესძლო არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; იცავდა თუ არა აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებს.

2.3. ნაშრომის წინასწარი განხილვის კომისიის მიერ ნაშრომის წინასწარი განხილვა გულისხმობს ნაშრომის შინაარსობრივი და ფორმალური მხარის შეფასებას. ამ კომპონენტით შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის მიერ მიმართულელების მიხედვით დამტკიცებული კომისია (არანაკლებ

სამი (წევრი), შეფასების ქულა კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკული სტოლია. მიღებული შედეგები ფორმდება სათანადო ოქმით.

2.4. შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამით: იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომში დასტურდება დარღვევა, „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესის თანახმად“, სტუდენტს დაიშვება დაცვაზე, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი ემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალსაბაკალავრონაშრომი, რაც მას აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

3. შუალედური შეფასების კრიტერიუმები

3.1. ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელის მიერ

ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ცხრილი N1.

N	ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა 30 (მინიმალური ბარიერი 15 ქულა)
1.	სტუდენტის პასუხისმგებლიანობა, დამოუკიდებლობა, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა ფასდება, ნაშრომზე მუშაობის პროცესში რამდენად გამოავლინა სტუდენტმა პასუხისმგებლიანობა, რამდენად იცავდა განსაზღვრულ გრაფიკს და დროულად აბარებდა ანგარიშებს; რამდენად ეფექტიანად ითვალისწინებდა რჩევებსა და რეკომენდაციებს და დამოუკიდებლად ამუშავებდა მათ, აგრეთვე, იჩენდა თუ არა სტუდენტი ინიციატივებს. ფასდება, აგრეთვე, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენა სტუდენტმა სხვა ავტორების ნაშრომები და იმუშავა საბაკალავრო თემაზე; რამდენად გაითვალისწინა ხელმძღვანელის შენიშვნები ამ კონტექსტში.	8 ქულა
2.	ნაშრომის მიზნის, მეთოდებისა და შინაარსის შესაბამისობა ფასდება, რამდენად უზრუნველყო სტუდენტმა ნაშრომის მიზნისა და ამოცანების ადეკვატური მეთოდების შერჩევა და გამოყენება; რამდენად შეესაბამება ნაშრომის შინაარსი დასახულ მიზნებს.	10 ქულა
3.	კვლევის საკითხის გააზრება, პირველადი/სამაგიდე წყაროების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი ფასდება, რამდენად მართებულად გააზრა სტუდენტმა კვლევის საგანი; რამდენად თანმიმდევრულად გაანალიზა სამაგიდე და პირველადი წყაროები და რამდენად ადეკვატურად არის შერჩეული თავად წყაროები. ფასდება, რამდენად შეესაბამება დასკვნები ანალიზის შედეგებს და რამდენად არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა ისინი სტუდენტმა.	12 ქულა

3.2. ნაშრომის წინასწარი განხილვა:

ნაშრომის წინასწარი განხილვის მიზანია, ნაშრომის წინასწარი განხილვის კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარისა და ფორმალური მოთხოვნების დაცვის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ცხრილი N2

N	საბაკალავრონაშრომის შინაარსობრივი და ფორმალური მხარის შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური 30 ქულა. (მინიმალური ბარიერი 15 ქულა)
1.	კვლევის საკითხის/პრობლემის განსაზღვრა	6 ქულა

	2. ნაშრომი აქტუალურია. კვლევისსაკითხი/პრობლემაწინადად და მკაფიოდაა განსაზღვრული და ჩამოყალიბებული.	4-6
	3. ნაშრომი აქტუალურია. კვლევისსაკითხი/პრობლემაწინადად განსაზღვრულია, თუმცა ჩამოყალიბებულია არასათანადოდ მკაფიოდ.	1-3
	4. კვლევის საკითხის/პრობლემის განსაზღვრა არაა დამაკმაყოფილებელია.	0
2.	კვლევისმეთოდოლოგია	6 ქულა
	5. ნაშრომიეფუძნებათემისადეკვატურ, სანდო და თანამედროვემეთოდოლოგიას.	4-6
	6. გამოყენებული მეთოდოლოგია მეტწილად ადეკვატური და სანდოა.	1-3
	7. გამოყენებულიმეთოდებიარ არის საკვლევი საკითხის ადეკვატური.	0
3.	წყაროების, მონაცემებისხარისხიდანაწილი	6 ქულა
	8. ნაშრომიეფუძნებაარავალფეროვანდასანდო წყაროებს, მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაცგანაწილიზებულიაკარგად.	4-6
	9. ნაშრომიეფუძნებასანდო წყაროებს, მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას, რაც განაწილიზებულიასაშუალოდ.	1-3
	10. ნაშრომშიგამოყენებული წყაროები, მონაცემები/ფაქტები/ინფორმაციადამათიანაწილი მწირია.	0
4.	დასკვნები	6 ქულა
	1. დასკვნებიჩამოყალიბებულიაარგუმენტირებულად, სრულადშეესაბამება კვლევის საკითხს, ნაშრომშიწარმოდგენილ წყაროებს, მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას.	4-6
	2. დასკვნებსაკლიაარგუმენტირება, მეტწილად შეესაბამებაწინაშრომშიწარმოდგენილ წყაროებს, მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას.	1-3
	3. დასკვნები არაარგუმენტირებულია, არ შეესაბამება ნაშრომში წარმოდგენილ მონაცემებს/ფაქტებს/ინფორმაციას.	0
5.	ნაშრომის ფორმალური მხარე	6 ქულა
	1. ნაშრომისრულშესაბამისობაშია აკადემიური ნაშრომის შესრულების განსაზღვრულსტანდარტებთან.	4-6
	2. ნაშრომიმეტწილად შესაბამისობაშია აკადემიური ნაშრომის შესრულების განსაზღვრულსტანდარტებთან.	1-3
	3. ნაშრომიარ არის შესაბამისობაშია აკადემიური ნაშრომის შესრულების განსაზღვრულსტანდარტებთან.	0
ნაშრომის წინასწარი განხილვის კომისიის კომისიის მიერ საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვის შეფასების პრინციპი		
<p>დაცვისკომისიის თითოთეული წევრი აფასებს საბაკალავრო ნაშრომს ინდივიდუალურად ზემოთ მითითებული კრიტერიუმების და მათთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით. წინასწარი განხილვის საბოლოო ქულა ანგარიშდება თითოეული წევრის მიერ განსაზღვრული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშებით.</p> <p>*იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომის წინასწარი განხილვის კომისიისკომისიის წევრის მიერ გამოთქმული იქნება პლაგიატის არსებობის შესახებ დასაბუთებული ეჭვი, ნაშრომი არ შეფასდება, თუმცა სხვა ნაშრომებთან ერთად გაივლის შემოწმებას ანტიპლაგიატის პროგრამაზე. თუკი პლაგიატის ფაქტი არ დადასტურდება, ფაკულტეტმა უნდა იზრუნოს დამატებით წინასწარი განხილვის ორგანიზებაზე, რათა სტუდენტი დროულადიქნეს დაშვებულისაჯარო დაცვაზე.</p>		

4. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება- ნაშრომის საჯარო დაცვა

- 4.1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვასაბაკალავრო ნაშრომის შეფასების დასკვნითი კომპონენტია და ხორციელდება საჯაროდ, კომისიის წინაშე. დაცვის პროცედურა ემყარება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს.
- 4.2. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებსა და პრაქტიკის კომპონენტში კრეტირების დაგროვება.
- 4.3. სტუდენტი ნაშრომის დაცვაზე დაიშვება თუ მის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ

შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამი შეადგენს 31-სანმეტს და ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების შემდეგ ორიგინალური ტექსტი 70%-ი და მეტია.

- 4.4. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღს განსაზღვრავს ფაკულტეტი და დაცვამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა, აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ, ინფორმაციის გავრცელებისა და მასზე წვდომის მოქმედი ხერხების შესაბამისად.
- 4.5. განსაკუთრებულ შემთხვევაში ფაკულტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის გადავადების შესახებ.
- 4.6. სტუდენტი ვალდებულია, საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე, ნაშრომის ერთი (აკინძული) ეგზემპლარი და CD ვერსია გადასცეს ფაკულტეტს.

5. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია

- 5.1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას, დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამ ტვიცებს რექტორი.
- 5.2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორი ან მისი მცირე განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი.
- 5.3. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, თუ დამსწრეთარ აოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს.
- 5.4. დაცვის პროცედურის დოკუმენტაციის (სხდომის ოქმი, უწყისები) წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

6. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა

- 6.1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილებების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვას.
- 6.2. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს: საბაკალავრო ნაშრომის წარდგენას კითხვა-პასუხს/ დისკუსიას (მაქსიმუმ 20 წუთი) და შეფასებით ნაწილს, რომლის დროსაც კომისიის მიერ სხდომა დამსწრეთათვის იხურება.
- 6.3. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

N	საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა 40 (მინიმალური ბარიერი 20 ქულა)
ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება (30%)		
1.	პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევი საკითხის/პრობლემის ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდები	15 ქულა
	1. თემის აქტუალობა ძალიან კარგად არის არგუმენტირებული; საკვლევი საკითხი/ პრობლემა ნათლად არის ჩამოყალიბებული; მკაფიო და ფორმულირებული კვლევის მიზანი; ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდები სრულ შესაბამისობაშია საკვლევ საკითხთან.	12-15
	2. თემის აქტუალობა კარგად არის არგუმენტირებული; საკვლევი საკითხი/ პრობლემა ჩამოყალიბებულია, თუმცა აკლია სიცხადე; კვლევის მიზანი ფორმულირებულია დამაკმაყოფილებლად; ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდები მეტწილად შესაბამისობაშია საკვლევ საკითხთან.	6-11

	3. თემის აქტუალობას აკლია არგუმენტირება; საკვლევი საკითხი/ პრობლემა ჩამოყალიბებულია, თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად; კვლევის მიზანი ფორმულირებულია საკმარისად; ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდები ნაწილობრივ შესაბამისობაშია საკვლევ საკითხთან.	1-5
	4. პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევი საკითხი, კვლევის მეთოდები არაა დამაკმაყოფილებლად ჩამოყალიბებული.	0
2.	წყაროების/მონაცემების ანალიზი, არგუმენტაცია, დასკვნები	15 ქულა
	1. გამოყენებულია მრავალფეროვანი, თანამედროვე, ადეკვატური და სანდო წყაროები/მონაცემები და გაანალიზებულია თანმიმდევრულად; მსჯელობა ლოგიკური და არგუმენტირებულია; კვლევის შედეგები მართებულად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება ანალიზის შედეგებს და კარგად პასუხობს საკვლევ საკითხს.	12-15
	2. გამოყენებულია ადეკვატური და სანდო წყაროები/მონაცემები, თუმცა არამრავალფეროვანი; მონაცემები გაანალიზებულია საკმაოდ თანმიმდევრულად; მსჯელობის ლოგიკა და არგუმენტირება დამაკმაყოფილებელია; კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია და მეტწილად შეესაბამება ანალიზის შედეგებს და საკვლევ საკითხს.	6-11
	3. წყაროები/მონაცემები მწირია და გაანალიზებულია არათანმიმდევრულად; მსჯელობას აკლია ლოგიკა და არგუმენტირება; კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა ბუნდოვნად და ნაწილობრივ შეესაბამება ანალიზის შედეგებს და საკვლევ საკითხს.	1-5
	4. წყაროების/მონაცემების ანალიზი, არგუმენტაცია, დასკვნები არაა დამაკმაყოფილებლად წარმოჩენილი ნაშრომში.	0
პრეზენტაციის შეფასება(10%)		
3.	პრეზენტაციის ორგანიზაცია	5 ქულა
	1. პრეზენტაცია თანმიმდევრულია; ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის საკითხები; ადეკვატურად არის ასახული ნაშრომი; ეფექტურია პრეზენტაციის ფორმატი (მაგ. Power Point ფორმატი, თვალსაჩინოება, სხვა..).	4-5
	2. პრეზენტაციაში დარღვეულია თანმიმდევრობა; ჩამოყალიბებულია კვლევის საკითხები, თმცა აკლია სიცხადე; ნაშრომი დამაკმაყოფილებლად ა არის ასახული; პრეზენტაციის ფორმატი ნაკლებად ეფექტურია (მაგ. Power Point ფორმატი, თვალსაჩინოება, სხვა..).	1-3
	3. პრეზენტაციის ორგანიზაცია არაა დამაკმაყოფილებელია.	0
4.	დისკუსია	5 ქულა
	1. პასუხები დაცვის კომისიის წევრების კითხვებზე გაცემულია მართებულად და სრულად; დისკუსიაში სტუდენტი ამჟღავნებს საკვლევი პრობლემის / საკითხის შესახებ კარგ ცოდნას.	4-5
	2. პასუხები დაცვის კომისიის წევრების კითხვებზე გაცემულია გარკვეული შეცდომებით და არასრულად; დისკუსიაში სტუდენტი ამჟღავნებს საკვლევი პრობლემის / საკითხის შესახებ საკმარის ცოდნას.	1-3
	3. დისკუსიაში სტუდენტის მონაწილეობა არაა დამაკმაყოფილებელია.	0
დაცვის კომისიის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პრინციპი		

დაცვის კომისიის თითოეული წევრი აფასებს საბაკალავრო ნაშრომს ინდივიდუალურად ზემოთ მითითებული კრიტერიუმების და მათთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით. წინასწარი განხილვის საბოლოო ქულა ანგარიშდება თითოეული წევრის მიერ განსაზღვრული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშებით.

7. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება

- 7.1. კომისიის გადაწყვეტილებას საბაკალავრო ნაშრომის დაცვისა და საბოლოო შეფასების შესახებ, სტუდენტს, სხდომის დამთავრებისთანავე, აცნობს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
- 7.2. საბაკალავრო ნაშრომი თვლებამ შესრულებულად თუ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის სტუდენტს ანიჭებს 20 ან მეტ ქულას დაშუალედური შეფასების კომპონენტებში მიღებული და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ მინიჭებულ იქულათა ჯამი, ანუ საბოლოო შეფასება, იქნება 51 ან მეტი.
- 7.3. თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 41-50 (Fx), სტუდენტს ეძლევა საბაკალავრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე გასვლის უფლება.
- 7.4. თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 40 ანაკლებ ქულას (F), სტუდენტს აბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დამატებით არ დაიშვება დამის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.
- 7.5. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს საბაკალავრო ნაშრომის დამატებით დაცვაზე.

8. საბაკალავრო ნაშრომის დამატებითი დაცვა

- 8.1. სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით დაცვაზე იმავ სემესტრში, პირველი დაცვიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- 8.2. დამატებით დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტი შეფასდება იქულით დამის სემესტრული შეფასება იქნება „F“ (ჩაიჭრა).
- 8.3. უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღებისას სტუდენტს უფლება აქვს, მომდევნო რიწლის განმავლობაში შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
- 8.4. დაცვის შემდეგ, ერთი თვის ვადაში, ფაკულტეტი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომი გადასცეს არქივს.

9. აპელაცია

- 9.1. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მიღებული შეფასება შეფასების გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში.
- 9.2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული.
- 9.3. შეფასების გასაჩივრების შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.
- 9.4. ფაკულტეტის საბჭო ქმნის სააპელაციო კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტის პირველად შეფასებაში.
- 9.5. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები.
- 9.6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპელაციას და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესაბამისად.
- 9.7. გადაწყვეტილების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია გადახედოს ხელმძღვანელის შეფასებას, შეცვალოს რეცენზენტი ან/და დანიშნოს ნაშრომის ხელახალი დაცვა ან უარი თქვას სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე.

9.8. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს და აისახება სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებასა და ფაკულტეტის საბჭოს მიმართ გაკეთებულ წარდგინებაში.

10. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

- 10.1. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესსამტკიცებსაკადემიურისაბჭო.
- 10.2. წესშიშესულინებისმიერისახისცვლილებაუნდაშეესაბამებოდესსაქართველოსმოქმედკანონ მდებლობასდაუნდადამტკიცდესაკადემიური საბჭოსმიერცვლილებისანდამატებისსახით.
- 10.3. ამწესისძალაშიშესვლისშემდეგ, ძალადაკარგულადჩაითვალოსშპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 10 დეკემბრის №01-01/65 ბრძანებით დამტკიცებული „საბაკალავრონაშრომისმომზადებისადა დაცვისწესი“.